

**გაეროს ეროვნული საავიაციო აჭარის პილოტაჟი და მფრინავი მოსახლეობის მსახურის მსახურის მსახური**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდა-მთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 0-3 გრადუსი სიბოლო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

**კრიკოსი N 10**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ზბიგნევ რაუს შეხვდა. მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევები განიხილეს. პრემიერმა საუბრისას ხაზი გაუსვა ეუთოში პოლონეთის თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხის მაღალ დონეზე შენარჩუნების მნიშვნელობას, ასევე ეუთოს მონაწილეობას უნდობის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში და ფორმატის ეფექტიანად გამოყენებისა და ხელშეწყობის შედეგების მიღწევის საჭიროებას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე მირჩა ჯონასთან შეხვედრა გამართა, სადაც ყურადღება გამახვილდა უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიასა და ნატო-საქართველოს მრავალწლიან, მჭიდრო თანამშრომლობაზე. „ნატოსთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება გვაქვს და ერთმანეთის გვერდში ვდგავართ უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ ეს პარტნიორობა ამ კრიზისულ პერიოდში აქტიურად გაგრძელდეს როგორც კომუნიკაციის, ასევე, შეხვედრების კუთხითაც.“ - განაცხადა შალვა ბაპუაშვილმა. გუშინვე მან შეხვედრა გამართა ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცლოასთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფ სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ არარატ მირზოიანთან. მინისტრებმა მიმოიხილეს სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე დღის წესრიგი, ასევე რეგიონში შექმნილი ვითარება.

„ქართული ოცნების“ ქმედებებს თუ დავაკვირდებით, ნათელია, ის საქართველოს ევროკავშირის აშორებს და ამის ერთ-ერთი მაგალითია, რომ „ოცნება“ ბრიუსელში და პარიზში არ ჩავიდა, ხოლო სალომე ზურაბიშვილს ჩასვლის გამო აკრიტიკებენ, - განაცხადა „ლელოს“ წევრმა ანა ნაცვლიშვილმა. მისივე თქმით, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში ცვლილებების ინიცირება პარტიული ინტერესებით არის ნაკარნახევი და პარლამენტში პრეზიდენტის კრიტიკულ გამოსვლას უკავშირდება.

მომავალა ია შველიძე

## პროექტი, რომლის ბიზნესის სტიმულირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას განაკვირვებს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ სახელმწიფო მინისტრის პრეზიუმის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ - ფარგლებში, კერძო სექტორის, დეველოპერული კომპანიებისა და საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით შეხვედრა გამართა და პროგრამა გააცნო, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე.

როგორც ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, ახალ პროგრამასთან დაკავშირებით, კერძო სექტორისა და დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლებს არაერთი შეკითხვა ჰქონდათ, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს: „სამუშაო რეჟიმში განვიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, დაისვა შეკითხვებიც. ჩვენ

ახალი პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ მიზანია: ავარიული შენობების ახლით ჩანაცვლება, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების, ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, ინვესტიციების მოზიდვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება. შედეგად, 300-მდე საცხოვრებელი სახლი ახლით ჩანაცვლდება, ახალ საცხოვრის 3000-ზე მეტი ოჯახი მიიღებს.



ნომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის მთავრობის წევრები ესწრებოდნენ.

აქტიური კომუნიკაცია გვექნება ყველა დანტერესებულ მხარესთან, მოქალაქეებთან და დარწმუნებული ვარ, პროგრამა წარმატებით განხორციელდება.“

პროგრამა ბათუმის ტერიტორიაზე განხორციელდება და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. „რთულ ეკონომიკურ ვითარებაში, ეს ერთგვარი შესაძლებლობაცაა ბიზნესისთვის. მქონდა შეკითხვები, რომელზეც საინტერესო პასუხები მივიღე. პროგრამა ძალიან ბევრ კონკრეტულ შედეგს მოგვცემს, ბევრ ავარიულ სახლში მცხოვრებს ჯანსაღ და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს გაუჩენს და ამ სფეროს ბევრ ბიზნესს ახალ შესაძლებლობას მისცემს, გააკეთოს საინტერესო და კარგი პროექტები,“ - აღნიშნა მართვის კომპანია GGM-ის მმართველმა გენო გელაძემ.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის შექმნას, ასევე, მშენებლობის ნებართვის გაცემის ვადის მიწილიზაციას უზრუნველყოფს.



პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფოსთან ერთად, პოტენციური ინვესტორების, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიების, საფინანსო ორგანიზაციების ჩართულობას პროექტის განხორციელების პროცესში. თორნიკე რიუვაძემ პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა. კერძო სექტორის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნეს სახელმწიფო პროგრამის მექანიზმი. აღინიშნა, რომ პროექტის დასრულებას უზრუნველყოფს აჭარის მთავრობა 150 000 მლნ. ლარის მოცულობის ფინანსური გარანტიით, უძრავი ქონების შესყიდვის ინსტრუმენტის გამოყენებით. შესაბამის ხელშეწყობა ღონისძიებებს აჭარის მთავრობა ბათუმის მერიასთან ერთად გაატარებს. „ჩვენ უნდა უზრუნველვყოფოთ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ახალი მინისტრის პროგრამა. სოციალურად ერთად, პროექტი ბიზნესის სტიმულირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას განაკვირვებს,“ - განაცხადა შეხვედრაზე აჭარის ფინანსთა და

მუნიციპალიტეტის მერია საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის შექმნას, ასევე, მშენებლობის ნებართვის გაცემის ვადის მიწილიზაციას უზრუნველყოფს.

**ასეთაი არ კვდებიან - თავდადებული და საკრალური პიროვნება**

**საქართველოს უახლესი ისტორია - საბაყოსა და... ჯერ კიდევ ბურუსით მოხულის**

### გამოიწერეთ ბათუმი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

რებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





## აჭარის მთავრობის სხდომა გაიმართა

ნათია იხანაშვილი 27 48 93

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა - ბათუმი ავარიული სახლების გარეშე. პროგრამის ფარგლებში 300-მდე ავარიული კორპუსი თანამედროვე, უსაფრთხო საცხოვრისი ჩანაცვლდება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 150 მილიონი ლარის თავდადებას შესთავაზებს დეველოპერებს ავარიული სახლების ჩანაცვლების მიზნით.

აჭარის მთავრობა უშვილობის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის დაფინანსებას იწყებს. წელს აღნიშნული პროგრამისთვის ნახევარი მილიონი ლარი გამოყოფა.

აჭარაში 1000-ზე მეტ სტუდენტს სწავლის საფასური დაუფინანსდება. სტუდენტებს, რომელთაც მოცემული მომენტისთვის აქვთ დავალიანება და მათი სოციალური ქულა 150 000-მდეა, დაუფინანსდებოთ გადასახადი. რისთვისაც ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოყოფა.

ბათუმისთვის მნიშვნელოვანია ნაპირდაცვითი ღონისძიებების დროული და ეფექტური გატარება. დაწყებულია პროექტირება და შესაბამისი ექსპერტების ჩართულობითა და რეკომენდაციებით განხორციელდება აღნიშნული პროექტი.

საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობით ბათუმში წყლის პროექტის მეორე ფაზის განხორციელება იწყება. მეორე ფაზის ფარგლებში ადღობის, აერობორტის, კანაბრის, ჩაქვის, ინდუსტრიული ზონის, ხელვაჩაურის, მეჩინისწყლის ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემა მოეწყობა.



EBRD-თან მიღწეული შეთანხმებით გამოყოფა ფინანსური რესურსი, რაც ცენტალურში ნარჩენების მართვის თანამედროვე ობიექტის

ტექნიკურ აღჭურვას და ბათუმის არასტანდარტული ნავსაყურის დახურვას მოხმარდება.

იწყება ფრიდონ ხალვაშის გამზირის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია.

ქობულეთში ეკომიგრანტი ოჯახების ხელშეწყობისა და მათი საცხოვრისი უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება სოციალური სახლის მშენებლობა.

22 ოჯახს ბინა საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა.

## აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები ისრაელში საქმიან შეხვედრებს მართავენ

ნათია იხანაშვილი 27 48 93

რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები ისრაელში საქმიან შეხვედრებს მართავენ. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, უწყების ხელმძღვანელი თინათინ ზოიძე მსხვილი ტურისტული კომპანიების, მედიკატორების წარმომადგენლებთან და ინფლუენსერებთან გამართულ შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობის პრობლემებს განიხილავს, რაც სარეკლამო აქტივობებისა და პრესინფორმაციის ფარგლებში აჭარის შესახებ რეპორტაჟების, სიუჟეტების, ბლოგებისა და სტატიების მომზადებას ითვლისწინებს.

„როგორც მსხვილი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას იკვეთება, ებრაელი ვიზიტორების დიდი ნაწილი რეგიონის ბუნებით, ეროვნული პარკებითა და კულინარიით ინტერესდება. საქმიან შეხვედრებში ისრაელის საერთაშორისო ტურისტული გამოფენის „IMTM 2022“-ის ფარგლებში ხორციელდება, რომელშიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს. ისრაელი აჭარისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზარია, საიდანაც ვიზიტორების რაოდენობა რეგიონში ყოველწლიურად მზარდია“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს. ისრაელი აჭარისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზარია, საიდანაც ვიზიტორების რაოდენობა რეგიონში ყოველწლიურად მზარდია, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## უკრაინაში რუსეთის ომს უკვე 145 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა

ნათია იხანაშვილი 27 48 93

საქართველოს პარლამენტის შენობასთან უკრაინაში ომის შედეგად დაღუპული ბავშვების ხსოვნის პატივსაცემად სიმბოლური აქცია-ბერგორმანსი გაიმართა

საკანონმდებლო ორგანოსთან 145 წყვილი ფეხსაცმელი მიიტანეს ნიშნად იმისა, რომ უკრაინაში რუსეთის ომს უკვე 145 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა.

აქციის ორგანიზატორი ხუთი მოქმედი და ყოფილი ყურნალისტია, ესენი არიან: თიკო ფეიჭიშვილი, თამარ ღვინიაძე, ეკა ქადაგიშვილი, ირმა ნადირაშვილი და მაცა ფანქველაშვილი.



„ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული და ყველაზე ემოციური იყო ის, რომ დღეს უკვე 145 ბავშვი მოკლული, ეს არის სწორედ იმის სიმბოლო, რომ 145 ფეხსაცმელი დევს, დაწყებული ჩვილებიდან, რომლებიც ასევე არიან ომის მსხვერპლი, დამთავრებული 18 წლამდე ბავშვებით. როდესაც რამდენიმე დღის წინ დაიგეგმა ეს აქცია, მაშინ 115 მოკლული ბავშვი იყო და მანამ, სანამ ჩვენ ფეხსაცმელები შევაგროვეთ, ყოველდღე გზადავით, როგორ იცვლებოდა ცნობები გარდაცვლილი ბავშვების შესახებ, როგორ გამატებული და გამატებული ფეხსაცმელებს“, - განაცხადა თიკო ფეიჭიშვილი.

## ღია კარის დღეები

ნათია იხანაშვილი 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აბიტურიენტებისათვის ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში ღია კარის დღეები გამართა

საინფორმაციო შეხვედრებზე პროფესორ-მასწავლებლებმა მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სოციალური და გაცვლითი პროგრამები, საუნივერსიტეტო ცხოვრება, სტიპენდიები და სიახლეები გააცნეს.

„შეხვედრის დასასრულ, აბიტურიენტებს ბსუ-ის საინფორმაციო ბუკლეტები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. 2022-2023 სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 32 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 360 პირველკურსელი ჩაირიცხება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აბიტურიენტთა განაცხადების მიხედვით, რეიტინგული უნივერსიტეტების ხუთეულშია, ხოლო გაცვლითი პროგრამების „ramus“-ის და „Tempus“-ის მიხედვით - საქართველოს უნივერსიტეტების სამეულში. პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციისას პირველ რიგში მიუთითებენ ბსუ-ს და მე-3 სავალდებულო არჩევით საგანში/საგანებში ექნებათ მაღალი ქულა, ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით. უნივერსიტეტში ამჟამად 7 000 სტუდენტი სწავლობს, მათ შორის, 600-მდე უცხოელი. ბსუ ასევე თანამშრომლობს 200-მდე უცხოურ უნივერსიტეტთან. გაცვლითი პროგრამით ისარგებლა ბსუ-ის 1 000-ზე მეტმა სტუდენტმა. მოქმედებს 30-მდე სხვადასხვა სახის სტიპენდია და სოციალური პროგრამა. ფუნქციონირებს საე-

როსოპოლიტო სტანდარტების სტუდენტთა საცხოვრებელი. 10 საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 600-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს სრული სახელმწიფო დაფინანსებით. სოციალურად დაუცველი, მაღალი აკადემიური მოსწავრების მქონე სტუდენტები კონკურსის საფუძველზე, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სწავლის გადასახადისათვის იღებენ თანადაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ ბსუ-ის კურსდამთავრებულთა 80% დასაქმებულია.

აბიტურიენტებისთვის დეტალური ინფორმაცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, რესურსებისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ იხილეთ ბმულზე: <https://bsu.edu.ge/Presentation/> ვიტრულური ტურის მეშვეობით შეგიძლიათ, დაათვალიეროთ უნივერსიტეტის შენობა, ლაბორატორიები და სასწავლო რესურსები: <https://bsu.edu.ge/360/>, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## კიდევ ერთი ობიექტი

ნათია იხანაშვილი 27 48 94

სიმონ ართმელაძე ადგილობრივ მკვიდრობაზე პირველი იყო, რომელმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მისივე ინიციატივით, დაბა ხულოში სამხატვრო გალერეა გაიხსნა. 20 წლის განმავლობაში კულტურის ეს კერა არაერთი გამოფენისა და სხვა ღონისძიების მასპინძელი იყო. სამწუხაროდ, იგი გალერეის სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. რეგიონისა და ხულოს მუნიცი-



პალიტეტის ხელმძღვანელობამ პრობლემა ყურად იღო... დაბა ხულოში, სახელოვნებო სკოლისა და სამხატვრო გალერეის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა.

პროექტის ბიუჯეტი 1 491 915 ლარს შეადგენს. მშენებლობა მასში დაიწყება და 2023 წლის ბოლოს დასრულდება.

შენობა ადაპტირებული იქნება შუშ პირებზე

ტერიტორიულად, კულტურის ეს კერა ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. მისი ფართობი გალერეის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ხულოში სამხატვრო სკოლაზე გვაქვს, რაც იმის საწინდარია, რომ სიმონ ართმელაძის დაწყებული საქმის თაობაზე გააგრძელებენ - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

## ქრეზები - სოფლებში

ნათია იხანაშვილი 599 85 21 14

ქედის მუნიციპალიტეტის 9 ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში 500-მდე პროექტი განხორციელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტში 28 მარტიდან დაიწყო და 1 აპრილს დასრულდება სოფლის კრებები.

კრება უკვე გაიმართა სოფელ გველიძეთში, ანოში, ჩეტხიძეთში, სოფელ ქედაში, აქუცასა და გულქეთში, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები რომან დავითაძე და არჩილ გორგოლაძე, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ესწრებოდნენ.

მოსახლეობამ თავად აირჩია სოფლის პროორიტეტები. უმრავლესობა, შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობას და გარე განათების მოწყობას აირჩია.

წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 750 000 ლარია გამოყოფილი. ამ თანხით მრავალი პროექტი განხორციელდება, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება,- გვითხრა მერმა როლანდ ბერიძემ.













# „სანდონრაე“ – სოსო სტურუას ახალი ფილმი

მანანა პიპიშვილი 598 24 94 97

ამ რამდენიმე დღის წინ საზოგადოებამ ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი იხილა სახელწოდებით „სანდონრაე“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა). ფილმში გადმოცემულია საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა 1917-1921 წლებში



ჩვენ გარშემო, სხვა ქვეყნებში, მსოფლიოში. ასე უფრო ბევრ რამეს ეფინება ნათელი. ამბობს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ყოველთვის კავშირშია საერთაშორისო მოვლენებთან. ასეა ფილმშიც. ამ მიმართულებით რაიმეს ვაკეთებ და დი ხანია უნდა, სწორედ მისი იდეა იყო, რომ ეგრეთ წოდებული საინფორმაციო გამო-

მლბივ მოზარდისთვის აღსაქმელად რთული იქნებოდა, გამოეყენებინა ის ენა, რაც სასკოლო პროგრამით სახელმძღვანელოებშია გადმოცემული. სცენარის „მოსწავლის ენაზე“ შეიქმნა და მიეცა საინფორმაციო გამოშვების სახე. როგორც ამბობს, ეს არის ისტორია კომპრესიაში. რამდენიმე წუთში შესაძლოა, რამდენიმე თვე გავიდეს, მაგრამ შინაარსი ისე ებმება ერთმანეთს, რომ მყურებელი სიამოვნებით უყურებს. გადაცემის სტილი მისაღები გახდა საზოგადოებისთვის. „სანდონრაე“ არის საინფორმაციო გამოშვება წამყვანებთან ერთად. ურუნალისტები სხვადასხვა „ცხელი“ ადგილიდან ერთვებიან და გადმოსცემენ არა ახალ ამბებს, არამედ ისტორიულ ცნობებს. ეს ფილმისთვის ახალი უარია, რაც მყურებელს ძალიან მოეწონა. - ფილმში გადმოცემულია ასე წლის წინანდელი ამბები, რომელთაც სავსებით შესაძლებელია დღევანდელი პარალელის გაკლება, - გვითხრა სოსო სტურუამ, - 100 წლის შემდეგაც, ფაქტობრივად, იგივე მეორდება. ისევ მიმდინარეობს დიდი სახელმწიფოების მიერ პატარა სახელმწიფოების ჩაგვრა. არსებობს ერთი კარგი გამოთქვა: „ისტორიიდან იმის სწავლა შეუძლებელია, რომ ხალხი ისტორიიდან ვერაფერს სწავლობს“. სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში ვკითხუ-

ყოველთვის მინდა პოპულარიზაცია გავუწიო ამ საგანს. ფილმი, ფაქტობრივად, დაგვებმარბა, რომ სკოლის ასაკის თაობამ (უფროს-მაც) უფრო მეტი გაიგოს ჩვენი ისტორიის შესახებ. ამ ფილმში ისეთი ფაქტები გადმოცემული, რომელიც დოკუმენტურადაა დადასტურებული. ეს იდეა - საინფორმაციო სახით ისტორიის მოყოლა - ორი სამი წლის წინ გამიჩინდა. ფილმში არ კეთდება რაიმე სახის დასკვნა, მასში მხოლოდ ისტორიულ-დოკუმენტური ფაქტები გადმოცემული, - აღინიშნა სოსო სტურუამ.

ვფიქრობ, ბავშვებისთვისაც ბევრი რამით იყო ამ ფილმში მონაწილეობა საინტერესო. ჯერ ერთი, თავიანთი ქვეყნის ისტორიის შესახებ გაიგეს, მეორე - თავად გადაღების პროცესი. რეჟისორმა მეტყველებაშიც ავარჯიშა ბავშვები. როცა გადაღება დაწყდა, მოსწავლეებმა თემა უკვე ძალიან კარგად იცოდნენ. ზეპირად არაფერს ამბობენ - თითოეულს შეგნებული და გათვითცნობიერებული აქვს ის, რასაც ასე დამაჯერებლად გვთქვამს. ფილმში 16 ბავშვი მონაწილეობს და თქვენს მეთვლე მიერ პატარა სახელმწიფოების ჩაგვრა. არსებობს ერთი კარგი გამოთქვა: „ისტორიიდან იმის სწავლა შეუძლებელია, რომ ხალხი ისტორიიდან ვერაფერს სწავლობს“. სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში ვკითხუ-

## „სამწუხაროა, რომ 21-ე საუკუნეში ვკითხულობთ წარსულში მყოფ ადამიანებზე, მაშინდელ ამბებზე და გვგონია, რომ წლების შემდეგ ასეთი რამ არ მოხდება. თუმცა ხშირად გვაფიქვდება, რომ თანამედროვე ეპოქაც მომავალში გამოცემულ სახელმძღვანელოებში ერთ პარაგრაფად ჩაიწერება. ამიტომ რაც უფრო ბევრ ადამიანს და განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, ეცოდინებათ საკუთარი ქვეყნის მართალი ისტორია, მით უფრო სწორ დასკვნებს გამოიტანენ თანამედროვე ცხოვრებაში

შვების ფორმით - „საინფორმაციო ენაზე“ გადაღებული დოკუმენტური ფილმი საქართველოს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე. რამდენიმე წამყვანი სწირდებოდა. მანამდე, ამავე მოსწავლეების მონაწილეობით, მუსიკალუ-

ლობთ წარსულში მყოფ ადამიანებზე, მაშინდელ ამბებზე და გვგონია, რომ წლების შემდეგ ასეთი რამ არ მოხდება. თუმცა ხშირად გვაფიქვდება, რომ თანამედროვე ეპოქაც მომავალში გამოცემულ სახელმძღვანელოებ-

ენიჭება იმას, რომ ყველაფერს მათი თანატოლები გადმოსცემენ. როგორც სოსო სტურუამ გვითხრა, ფილმში უფროსი ასაკის ადამიანები სპეციალურად არ ჩართო, რადგან იგი სასკოლო ასაკის ბავშვებზე გათვლილი. თავიდან ფილმის ხანგრძლივობაზე არც კი უფიქრია, მაგრამ როცა დასრულდა, აღმოჩნდა, რომ ერთი გაკვეთილი, ანუ 45 წუთი გამოვიდა. კარგი იქნება, თუ მას სასკოლო გაკვეთილებზე, როგორც დამატებით კლას-გარეშე სასწავლო-საილუსტრაციო ელმად გამოიყენებენ. უცხოეთში ამის კარგი პრაქტიკა არსებობს.

ფილმის აღმასრულებელი პროდიუსერია ქეთი მიქელაძე (ვინც „აიძულა“ გადაღება), ოპერატორი - გურამ ხალითა, მემონტაჟი - ირაკლი ქათამაძე, კონსულტანტი - ანზორ ქათამაძე.

რეჟისორის თქმით, საქართველოს ისტორია იმდენად დიდი და ამოუწურავია, რომ შესაძლოა, კიდევ გადაიღოს ფილმი, ჯერ არ დააკონკრეტა - რაზე, მაგრამ საგარეოდ, ეს იქნება ჩვენი ყვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპი, რომელსაც ასეთივე უარში მოუყვება მყურებელს, საზოგადოებას.

- სწავლების თანამედროვე მიდგომები ითვალისწინებს ორ ძირითად ფაქტორს - თამაშით სწავლებასა და საკითხების თუ თემების ვიზუალიზაციას. ორივე ძლიერი მოტივატორი და წარმატების განმსაზღვრელი ნიშნებია. სოსო სტურუას ფილმი, საბედნიეროდ, ორივეს აერთიანებს. ეს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი მთელი 48 წუთის განმავლობაში არ კარგავს დინამიკას, ამიტომაც სასიამოვნო საყურებელია. ასევე, შესაძლებელია მისი მონაკვეთებად გამოყენება სწავლებისას. ვფიქრობ, ეკრანმანიის ეპოქაში მსგავსი ფილმები უმტკივნეულოდ გადართავს მოზარდს სასიამოვნო-სასარგებლოზე. მიხარია, რომ შემდეგ სერიაში სკოლა „მას-ტერკლასის“ მოსწავლეები ჩაერთვებიან, - გვითხრა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნაიდა გუნდაძემ.



გვითხრა, ქვეყნის ისტორიის ყოველთვის საერთაშორისო ურთიერთობების კრიკში გაინიხილავს. როცა ამა თუ იმ პერიოდზე კითხულობს, ყოველთვის უკმაობისობის გრძნობა ეუფლება. ამიტომ ხშირად სხვა წყაროებშიც ეძებს და ადარებს, რა ხდებოდა იმ დროს

რი კლიბი გადაიღო მისმა მეგობარმა, მოეწონა ეს ბავშვები და თავის ფილმში მიიწვია. ფაქტობრივად, ეს მხატვრულ-დოკუმენტური სასწავლო ფილმია. რეჟისორი შეეცადა, სცენარი არ ყოფილიყო გადატვირთული რთული ტერმინებით, ისეთი ფაქტებით, რო-

ში ერთ პარაგრაფად ჩაიწერება. ამიტომ რაც უფრო ბევრ ადამიანს და განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, ეცოდინებათ საკუთარი ქვეყნის მართალი ისტორია, მით უფრო სწორ დასკვნებს გამოიტანენ თანამედროვე ცხოვრებაში. ძალიან მიყვარს ისტორია და

## სპორტი

### კვარაცხელია ბათუმის „დინამოს“ ნაცვლად... „ნაკოლიში“ (?)

როგორც აქამდე იყო ცნობილი, ხვირა კვარაცხელიას ბათუმის „დინამოში“ უნდა ეთამაშა, გუშინ კი CrystalSport-ის ექსკლუზიურად განუცხადეს, რომ ქართველი ტალანტი ბოსნიასთან მატჩის შემდეგ პირდაპირ ნეაპოლში გაემგზავრა „პარტენოპისთან“ მოლაპარაკების საწარმოებლად.

სავარაუდოდ, შეთანხმების შემთხვევაში, კონტრაქტი ზაფხულიდან ამოქმედდება, მაშინ, როდესაც ხვირა „დინამო“ ბათუმს დატოვებს.

„კვარას“ შესახებ ცნობილი ურუნალისტები ალფრედო პედულა და ჯანლოუი ლონგარი წერენ და ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ. პედულას მიხედვით, „პარტენოპის“ სპორტული დირექტორი კრისტიანო გიუნტოლი ხვირას ტრანსფერის დახურვასთან ძალიან ახლოსაა. ქართველ ფეხბურთელთან საბოლოო შეთანხმების მიღწევა საათების ამბავია და დიდი შანსია, „კვარამ“ კარიერა ნეაპოლში განაგრძოს.

პედულას ინფორმაციას ლონგარც ადასტურებს და დასძენს, რომ „ნაპოლისა“ და კვარაცხელიას თანამშრომლობის დაწყება პრაქტიკულად დაწყებულია. ერთადერთი, რაც ტრანსფერის დასახურებასა საჭიროა, ქართველ ფეხბურთელთან შეთანხმების დადებაა.



ამირან ბურიძემ